ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 311

16 ივლისი
"___" _____ 2022 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, თავისუფლების მოედანი №4-ის მიმდებარედ 36 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.05.066.041) და ქ.თბილისში, თავისუფლების მოედანი №4-ის მიმდებარედ 98 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.05.066.042) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჯი-ემ-თი სასტუმროებისთვის" (ს/ნ. 203842333) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, თავისუფლების მოედანი №4-ის მიმდებარედ, 36 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.05.066.041) და 98 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.05.066.042) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჯი-ემ-თი სასტუმროებისთვის" (ს/ნ. 203842333) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლი 14 ივნისის №22.900.983 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, თავისუფლების მოედანი №4-ის მიმდებარედ 36 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №01.15.05.066.041) და ქ.თბილისში, თავისუფლების მოედანი №4-ის მიმდებარედ 98 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.05.066.042) პირდაპირი განკარგვის შპს „ჯი-ემ-თი სასტუმროებისთვის" (ს/ნ. 203842333) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 32 160 (ოცდათორმეტი ათას ას სამოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე